გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

**მნიშვნელოვანი მითითება: სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით ამ ბმულზე ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს www.tiflis.diplo.de.**

**სატელეფონო ინფორმაცია:**
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2447303
**ინფორმაცია ელ. ფოსტით**: visa@tifl.diplo.de

# საინფორმაციო ფურცელი Nr. C3: სავიზო განაცხადზე უარის გასაჩივრების პროცედურა

ოქტომბერი 2024

## სავიზო განაცხადზე უარი მიიღეთ?

თუ გსურთ გადაწყვეტილების გასაჩივრება:
ვიზის მიღებაზე უარის შემთხვევაში შეტყობინებიდან ერთი თვის განმავლობაში თქვენ გაქვთ შესაძლებლობა, გაასაჩივროთ გადაწყვეტილება გერმანიის საელჩოში. ეს შეიძლება გააკეთოთ პირადად, ელ. ფოსტის ან ფაქსის მეშვეობით ან საფოსტო გზით.
გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ გასაჩივრების პროცედურა შესაძლებელია რამდენიმე თვე გაგრძელდეს. ხშირად საელჩო იძულებულია მხოლოდ იმიტომ გითხრათ უარი სავიზო განაცხადზე, რომ წარმოდგენილი საბუთები საკმარისად ვერ ასაბუთებენ ვიზის გაცემის სამართლებრივ წინაპირობებს.
შენგენის ვიზის შემთხვევაში შეგიძლიათ წინასწარი ჩაწერის შემდეგ საელჩოში შემოიტანოთ სავიზო განაცხადი სრულყოფილი და დამაჯერებელი საბუთებით. ეროვნულ ვიზაზე განაცხადის შემოტანა ასევე შესაძლებელია საელჩოში წინასწარ შეთანხმებულ დროს. ჩაწერა შეგიძლიათ ზემოთ მითითებული საიტის მეშვეობით. ახალი სავიზო განაცხადის შემოტანის შემთხვევაში საჩივრება უქმდება.

**გასაჩივრების წერილი** უნდა დაწეროთ **გერმანულად** ან **ინგლისურად** და მას **პირადად უნდა მოაწეროთ ხელი**. ელ. ფოსტით გამოგზავნილ წერილს თან უნდა დაურთოთ პირადად ხელმოწერილი და დასკანერებული გასაჩივრების წერილის. თუ თქვენ მაგივრად სხვა პირი წერს გასაჩივრების წერილს, მას უნდა ჰქონდეს თქვენი მინდობილობა. მინდობილობაზე ვრცელდება იგივე ფორმალური მოთხოვნები, როგორც თავად გასაჩივრების წერილზე. გთხოვთ, გაგებით მოეკიდოთ იმას, რომ თქვენი განაცხადის განხილვასთან დაკავშირებულ შეკითხვებს პასუხს ვერ გავცემთ, რადგან ეს აღემატება ჩვენი იმ თანამშრომლების შესაძლებლობებს, რომლებიც განიხილავენ თქვენ განაცხადს. ვიზის გაცემის შემთხვევაში საელჩო დაგიკავშირდებათ დროის შესათანხმებლად. სავიზო განაცხადზე კვლავ უარის მიღებისას კი მიიღებთ წერილს, სადაც დეტალურად იქნება ახსნილი უარის მიზეზები. ეს გადაწყვეტილება შეგიძლიათ გაასაჩივროთ ბერლინის ადმინისტრაციულ სასამართლოში.

## რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს გასაჩივრების წერილი?

- ☐ გთხოვთ, თქვენ წერილში ყოველთვის მიუთითოთ საქმის ნომერი (უარის წერილში მითითებული საქმის ნომრის ბოლო შვიდი ციფრი);
- ☐ მიუთითეთ ყველა საკონტაქტო მონაცემი, რომელთა მეშვეობითაც შეგვიძლია დაგიკავშირდეთ შეკითხვების შემთხვევაში (ტელეფონის ნომერი ქალაქის კოდთან ერთად,

*მითითება:*
*ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.*

**მნიშვნელოვანი მითითება: სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით ამ ბმულზე ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს www.tiflis.diplo.de.**

**სატელეფონო ინფორმაცია:**
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2447303
**ინფორმაცია ელ. ფოსტით**: visa@tifl.diplo.de

მობილური ტელეფონის ნომერი, ფაქსი, ელ. ფოსტის მისამართი, სრულყოფილი საფოსტო მისამართი);

- ☐ მიაქციეთ ყურადღება უარის თქმის მოკლედ ჩამოყალიბებულ მიზეზს. საბუთები, რომლებიც განაცხადის შემოტანისას არ გქონდათ წარმოდგენილი, უნდა წარმოადგინოთ გასაჩივრებისას.
- ☐ ეროვნულ ვიზაზე უარის მიღების გასაჩივრებისას ყველა აუცილებელი საბუთი, თავად გასაჩივრებაც უნდა წარმოადგინოთ გერმანულ თარგმანთან ერთად, რადგან აუცილებლობის შემთხვევაში გასაჩივრების პროცედურაში ჩართულები არიან ასევე შიდა გერმანული უწყებები.
- ☐ თქვენ შეგიძლიათ, დაგვეხმაროთ, რომ შემცირდეს გასაჩივრების განხილვის დრო, თუ საბუთებს მხოლოდ ერთი, ზემოთ მითითებული გზით გამოაგზავნით სავიზო განყოფილებაში და ამით აგვაცილებთ ორმაგ სამუშაოს.
  - მაგ.: თუ თქვენ საბუთებს ფაქსით გამოგვიგზავნით, აღარ გამოაგზავნოთ იგივე საბუთები ფოსტით ან ელ. ფოსტის მეშვეობით.
  - მიუთითეთ ყოველ გამოგზავნილ საბუთზე თქვენი გვარი და საქმის ნომერი.
  - არ გამოგვიგზავნოთ საბუთები, რომლებიც უკვე ჩაგვაბარეთ სავიზო განაცხადის შემოტანისას.
  - გთხოვთ, დაელოდოთ საელჩოს პასუხს - ფოსტით, ელ. ფოსტით ან ფაქსით შემოსული გზავნილებს გასაჩივრების შემდეგ ვერ დავადასტურებთ.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ გასაჩივრების პროცედურისთვის შეგიძლიათ ისარგებლოთ ადვოკატებისა ან სხვა პირების დახმარებით, მაგრამ ეს არ არის აუცილებელი.

**მნიშვნელოვანი მითითებები:**

- ☐ შენგენის ვიზის გაცემაზე არ არსებობს სამართლებრივი მოთხოვნის უფლება (უცხოელ მოქალქეთა სტატუსის შესახებ გერმანიის კანონი, §6).
- ☐ სავიზო განაცხადზე უარის მიღება შეგიძლიათ გაასაჩივროდ უშუალოდ ბერლინის ადმინისტრაციულ სასამართლოში (Verwaltungsgericht Berlin, Kirchstraße 7, D-10557 Berlin). ადმინისტრაციული სასამართლოს მხრიდან სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლოს ხარჯები ეკისრება მოსარჩელეს (ადმინისტრაციული სასამრთლოს წესდება, §154, პირველი პუნქტი).

*მითითება:*
*ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.*